სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის

ხშირად დასმული შეკითხვები

საკითხები:	ძირითადი პერსონალი დამხმარე პერსონალი ბიუჯეტი პროექტი

ძირითადი პერსონალი

1. შესაძლებელია თუ არა, ახალგაზრდა მეცნიერი იყოს პროექტის ხელმძღვანელი?

პასუხი: შესაძლებელია, ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა მეცნიერი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი და ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი.

2. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება სარგებლობს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი კონკურსის მიმდინარე გრანტით, შეუძლია თუ არა, ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება ახალგაზრდა მეცნიერის/პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით?

პასუხი: დიახ, შეუძლია.

3. შესაძლებელია თუ არა, პროექტის ხელმძღვანელი იყოს პიროვნება, რომელიც არ მუშაობს წამყვან ორგანიზაციაში?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. სავალდებულოა, რომ პროექტის ხელმძღვანელმა პროექტის მიმდინარეობის პერიოდში კვლევა განახორციელოს წამყვანი ორგანიზაციის სახელით და წამყვანი ორგანიზაციის ბაზაზე.

4. პროექტის კოორდინატორი ცალკე ადმინისტრაციული პოზიციაა თუ მას შეუძლია ასევე იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი და მონაწილეობა მიიღოს კვლევებში?

პასუხი: კოორდინატორი წარმოადგენს ძირითად პერსონალს, რომელსაც ეკისრება კონკურსის პირობებით დადგენილი კონკრეტული პასუხისმგებლობები. მას შეუძლია, ასევე, შეასრულოს მკვლევრის ფუნქციებიც.

5. შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი პიროვნება ორი სხვადასხვა პროექტის კოორდინატორის სტატუსით სარგებლობდეს?

პასუხი: დიახ, რადგან კონკურსის დებულება და პირობები არ აწესებს პროექტის კოორდინატორის მიმართ მსგავსი ტიპის შეზღუდვას.

6. შესაძლებელია თუ არა, ძირითადი პერსონალის სტატუსით კონკურსზე წარმოდგენილ ორ პროექტში მონაწილეობა?

პასუხი: დიახ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის საგრანტო კონკურსში მონაწილე ძირითად პერსონალს შეუძლია, ჩართული იყოს ორ პროექტში, გარდა პროექტის ხელმძღვანელისა. პროექტის ხელმძღვანელს შეუძლია კონკურსზე წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი პროექტის

ხელმძღვანელის სტატუსით.

7. ძირითადი პერსონალის ცვლილება თუ შეიძლება?
პასუხი: ძირითადი პერსონალის ცვლილება შესაძლებელია იმავე ან უკეთესი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და მტკიცე არგუმენტ(ებ)ის საფუძველზე, რადგან ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია არის შეფასების კრიტერიუმების ერთ-ერთი კომპონენტი.

8. ძირითადი პერსონალის რაოდენობა თუ არის შეზღუდული?
პასუხი: არა, ძირითადი პეროსნალის რაოდენობა არ არის შეზღუდული და უნდა შეესაბამებოდეს პროექტის საჭიროებებს.

9. ძირითად პერსონალს რა ხარისხი უნდა ჰქონდეს?
პასუხი: ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის, ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრანტურის ან რეზიდენტურის სტუდენტი (იხ. კონკურსის პირობები მე-2 მუხლი მე-5 პუნქტი). აუცილებელია, რომ თითოეული პერსონა აკმაყოფილებდეს პროექტში მისთვის განსაზღვრული პოზიციის მოთხოვნებს კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.

10. ძირითად პერსონალში შეიძლება იყოს თუ არა მაგისტრატურის სტუდენტი, რომელსაც აკადემიური წელი აქვს აღებული?
პასუხი: დიახ, მაგისტრატურის სტუდენტი შეიძლება იყოს ძირითადი პერსონალი. პროექტის კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სავალდებულოა მან აღიდგინოს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

11. უცხოელის მონაწილეობა თუ არის სავალდებულო?
პასუხი: არა, სავალდებულო არაა.

დამხმარე პერსონალი

12. არის თუ არა აუცილებელი, რომ დამხმარე პერსონალი იყოს წამყვანი ორგანიზაციის თანამშრომელი?
პასუხი: არა, არ არის აუცილებელი.

13. მძღოლი და მკვლევარი თუ შეიძლება იყოს ერთი და იგივე ადამიანი? ანუ ძირითადი პერსონალი და დამხმარე?
პასუხი: ერთი პიროვნება ვერ იქნება ერთდროულად ძირითადი და დამხმარე პერსონალი. ძირითად პერსონალს (ამ შემთხვევაში მკვლევარს) შეუძლია შეასრულოს მძღოლის ფუნქცია-მოვალეობებიც და გრანტის ბიუჯეტიდან გამოიყენოს საწვავის ხარჯები.

14. საჭიროა თუ არა, დამხმარე პერსონალის CV?
პასუხი: არა, დამხმარე პერსონალის CV-ის წარდგენა არ არის საჭირო.

ბიუჯეტი

15. პროექტი ითვალისწინებს კვლევის ერთი ნაწილის საზღვარგარეთ ჩატარებას, ხოლო მეორე ნაწილის - საქართველოში. ასეთ შემთხვევაში რა ოდენობის დაფინანსება შეიძლება მოვითხოვოთ ფონდიდან?

პასუხი: ამ შემთხვევაში, ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აჭარბებდეს წელიწადში 100 000 ლარს. ასევე შესაძლებელია ერთ წელს მოითხოვოთ 100 000 და მეორე წელს 70 000 ლარი.

16. სავალდებულოა თუ არა, ბიუჯეტის პირველი წლის ტრანშები თანაბარი იყოს?

პასუხი: არ არის სავალდებულო.

17. კვლევის მიზანია საზღვარგარეთ არსებული მემკვიდრეობის შესწავლა. მაქსიმუმ რა თანხა შეიძლება მოვითხოვო ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისათვის?

პასუხი: საზღვარგარეთ წარმოებული კვლევითი პროექტისთვის ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარის 60%-ს წელიწადში. (ანუ 60 000 ლარს/წელიწადში).

18. შესაძლებელია თუ არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება იყოს სხვადასხვა, პერიოდების მიხედვით?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

19. ყოველთვიურ ანაზღაურებაში თუ არსებობს რაიმე ზღვარი?

პასუხი: არა, ყოველთვიურ ანაზღაურებაში დადგენილი ზღვარი არ არსებობს.

20. დამხმარე პერსონალის ანაზღაურებისათვის არსებობს თუ არა რაიმე შეზღუდვა?

პასუხი: არა, დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის არ არის განსაზღვრული რაიმე ტიპის შეზღუდვა.

21. ბუღალტერთან დაკავშირებული ხარჯი ბიუჯეტის რომელ ხარჯვით კატეგორიაში უნდა ავსახო „დამხმარე პერსონალში“ თუ „ზედნადებში“?

პასუხი: ბუღალტერის ხელფასი მოიაზრება ზედნადებ ხარჯებში. ხოლო თუ ზედნადებ ხარჯებს არ ითვალისწინებთ, შეგიძლიათ დამხმარე პერსონალის სახით გყავდეთ ჩართული პროექტში.

22. ბიუჯეტის რომელ კატეგორიაში უნდა ავსახო საკონფერენციო პრეზენტაციის მომზადების, დაბეჭდვის (სასტამბო)და კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები?

პასუხი: პრეზენტაციის ხარჯი და გამომცემლობის (სასტამბო) ხარჯი უნდა გაიწეროს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ კატეგორიაში. ხოლო საზღვარგარეთ კონფერენციაში მონაწილეობა „მივლინების“ მუხლში.

23. შესაძლებელია თუ არა მივლინების ხარჯიდან მორჩენილი ნაშთი გამოვიყენო სხვა კატეგორიის ხარჯებისათვის პროექტის მსვლელობის დროს?

პასუხი: საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, თანხის ნაშთის გადატანა სხვა კატეგორიაში შესაძლებელია, მონიტორინგის სამსახურში შესაბამისი დასაბუთების წარდგენისა და განხილვის აქტის საფუძველზე.

24. როგორ უნდა გამოვთვალო პროექტისათვის საჭირო ზედნადები ხარჯის ოდენობა?
პასუხი: ზედნადები ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების (პროექტის რეალური ბიუჯეტის) 7%-ს.

25. შესაძლებელია თუ არა, რომ ზედნადები ხარჯი წამყვან ორგანიზაციასთან ერთად თანამონაწილესაც ჰქონდეს?
პასუხი: დიახ, შესაძლებელია. გაითვალისწინეთ, რომ პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს.

26. შესაძლებელია თუ არა, რომ ზედნადები ხარჯი არ გავწერო პროექტში?
პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

27. თანადაფინანსება სავალდებულო ხომ არ არის?
პასუხი: არ არის სავალდებულო.

28. თანადაფინანსების მინიმალური ზღვარი თუ არსებობს?
პასუხი: არა, თანადაფინანსების მინიმალური ზღვარი არ არის კონკურსის პირობების მიხედვით.

29. ფასდება თუ არა ქულებით თანადაფინანსების ქონა/არ ქონა?
პასუხი: არა.

პროექტი

30. უნდა ემთხვეოდეს თუ არა ზუსტად პროექტის აკრონიმის ქართული და ინგლისური ვარიანტები (მაგ., წმინდანის სახელის გამოყენებისას, მისი ქართული და ინგლისური ფორმები განსხვავებულია)?
პასუხი: არა. პროექტს უნდა ჰქონდეს ერთი აკრონიმი (ან ქართული ან ინგლისური). აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც უფრო ლამაზად ჟღერს და მიუთითეთ პროექტის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ფორმაში.

31. უცხოეთში კვლევა გულისხმობს თუ არა, უცხოეთში მუდმივად ყოფნას ამ კვლევის პერიოდში?
პასუხი: არა, უცხოეთში მუდმივი ყოფნა სავალდებულო არ არის. საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიარული და სულიერი მემკვიდრეობის მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლის მიზნით, უცხოეთში განასახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა უნდა მოხდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეხედულებისა და პროექტის საჭიროებების შესაბამისად.

32. შეიძლება თუ არა, საპროექტო წინადადების ფაილში განმარტებები წავშალო?
პასუხი: არა, განმარტებები არ წაშალოთ. კრიტერიუმების სახელწოდებებისა და განმარტებების ქვევით დაწერეთ ტექსტი.

33. საჭიროა თუ არა უცხოელი მკვლევარის რეზიუმე წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზეც? (გარდა ინგლისურისა)

პასუხი: დიახ, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქის რეზიუმე უნდა წარმოადგინოთ როგორც ინგლისურად, ასევე ქართულად.

34. შესაძლებელია თუ არა, პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისას საპროექტო დოკუმენტები გამოიგზავნოს თქვენთან ელექტრონული ფოსტის მითითებულ მისამართზე პროექტის კოორდინატორის მიერ?

პასუხი: შესაძლებელია, ასეთ შემთხვევაში პროექტის კოორდინატორმა წერილის ადრესატებში (CC-ში) უნდა მიუთითოს პროექტის ხელმძღვანელის ელ.ფოსტის მისამართი. ასევე წერილის ტექსტში მიუთითოს, რომ პროექტს აგზავნის პროექტის ხელმძღვანელის სახელით და დაასახელოს მისი ვინაობა. გაითვალისწინეთ, პროექტის შიფრი გაეგზავნება მას, ვინც გამოაგზავნის საპროექტო დოკუმენტებს.

35. შესაძლებელია თუ არა, ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადება წარმოადგინოს პროექტის კოორდინატორმა?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია, მთავარია განცხადება დადგენილი ფორმითა და პირობებით იყოს წარდგენილი.

36. უნდა წარმოვადგინოთ თუ არა, საპროექტო დოკუმენტები ფიზიკურად ფონდის კანცელარიაში?

პასუხი: არა, საპროექტო დოკუმენტაციის ფიზიკური სახით წარმოდგენა კანცელარიაში არ ხორციელდება. პროექტის ელექტრონული ვერსია წარდგენილი უნდა იყოს კონკურსის ელექტრონულ ფოსტაზე, ხოლო პროექტის შიფრის მიღების შემდგომ, ფონდის კანცელარიაში ფიზიკური სახით უნდა წარმოადგინოთ მხოლოდ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი 9).